ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება
	02 10	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება	
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, სამშენებლო სამუშაოების და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, ნაპირსამაგრების აღდგენითი სამუშაოები, საყრდენი კედლების რეაბილიტაცია.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დროულადაა აღმოფხვრილი სტიქიური მოვლენების შედეგები; დროულად უზრუნველყოფილია მგზავრთა კომფორტული, უსაფრთხო გადაადგილება და შემცირებულია მგზავრობის დრო;	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა
	02 11	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	მოქალაქეთა ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში	
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილების და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისთვის. მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მკვიდრთ, განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები.	
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და წარმოდგენილი ინიციატივების შესაბამისად მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა; გათვალისწინებულია მოსახლეობის აზრი საკუთარი დასახლების პრობლემების გადაწყვეტაში;	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპეციალური დანიშნულების ინვენტარის და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა
	02 12	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიის და ინფრასტრუქტურის მოვლა	
ქვეპროგრამის აღწერა	დაგეგმილია სპეციალიზირებული ტექნიკის შეძენა: ნაგავშემკრები, მარილმომყრელი, ელექტროსატვირთო, თვითმცლელი და სხვა.	



მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი, დასუფთავებული ტერიტორია და ინფრასტრუქტურა
--------------------	--

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6 229,3 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	6,229.3
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	4,596.9
03 02	მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა	1,552.4
03 02 01	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	407.4
03 02 02	მწვანე ნარგავების გაშენება	1,145.0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	80.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა
	03 01	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“	
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა	
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც ერთიანი სტრუქტურის მიმართებაში, ასევე მისი ცალკეული ფრაგმენტების კონტექსტში. მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიკური მოწესრიგება, ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცალკეული ტერიტორიის მწვანე საფარის, ქუჩების, გზების დაცვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა 45 კმ-ზე კასპის ნაგავსაყრელზე, სანაგვე კონტეინერების მოვლა-პატრონობა, გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო საშუალებების განხორციელება; ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხებისა და ჭების გაწმენდა წვიმის დროს ნიაღვრისგან ჩამოტანილი ნარჩენებისგან. ნარჩენების მართვის პროცესში მოხდება გენდერული ასპექტების გათვალისწინება. მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება (კონტეინერების შეძენა) მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის, რადგან ძირითადად ქალები არიან ჩართული საოჯახო საქმეებში და მათი არაანაზღაურებადი შრომის ნაწილია საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე ზრუნვა. პროგრამისთვის გამოყოფილი ასიგნებები მოიცავს ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“ ადმინისტრაციულ ხარჯებს.	



მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება, ეკოლოგიურად სუფთა გარემო;
--------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა
	03 02 01	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“	
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა.	
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიკური მოწესრიგება, ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას. ქვეპროგრამის ფარგლებში სეზონური და მრავალწლიანი მცენარეებით დეკორატიულად იქნება გაფორმებული ქალაქის სხვადასხვა ტერიტორია. მუნიციპალიტეტში მწვანე საფარის ნორმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად სისტემატურად იქნება ჩატარებული სხვადასხვა სახის სამუშაოები: მწვანე საფარის მოთიბვა, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვა, გადამხმარი და დაზიანებული ხე-მცენარეების ამოძირკვა და გატანა, ხე-მცენარეების გადაბეღვა, ხე-მცენარეების შეხვევა/გახსნა სეზონურად, მწვანე ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამლა, საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა, ხე-მცენარეების ირგვლივ შემოზარვა, გათოხნა-გაფხვიერება, სეზონური მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა და ამოღება, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა;	
მოსალოდნელი შედეგი	განხორციელებულია გამწვანების ღონისძიებები, უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა, გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების გაშენება
	03 02 02	
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა.	
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიკური მოწესრიგება, ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას.	
	ქვეპროგრამის ფარგლებში სეზონური და მრავალწლიანი მცენარეებით დეკორატიულად იქნება გაფორმებული მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორია, განხორციელდება ხეების გადაბეღვა.	
მოსალოდნელი შედეგი	განხორციელებულია გამწვანების ღონისძიებები, უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა, გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა.	



პროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები
	03 04	
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური	
პროგრამის მიზანი	უმეტვალყურეოდ დარჩენილი ძაღლები მოვლა-პატრონობა და პოპულაციის რეგულირება	
პროგრამის აღწერა	დაგეგმილია უმეტვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები: მათი ჰუმანური წესით დაჭერა, დეჰელმენტიზაცია, სტერილიზაცია, ანტირაბიული და კომპლექსური ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია საერთაშორისოდ აღიარებული (TVNR) მეთოდოლოგიით და შესაბამის ადგილებში გადაყვანა-გაშვება ან იზოლაცია; მოსახლეობის შეტყობინებაზე დროული და ეფექტური რეაგირება;	
მოსალოდნელი შედეგი	განხორციელებულია უმეტვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები	

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 10 917,6 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა
04 00	განათლება	10,917.6
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	9,685.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	147.0
04 03	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	364.3
04 04	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	721.2

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა
	04 01	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“	
პროგრამის მიზანი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა	
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში იგეგმება სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი საღმრთელო პროგრამის/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო,	



	შენიშვნა, იხვეწი და სხვა) განვითარება, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობა, ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.
მოსალოდნელი შედეგი	საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის ფუნქციების განხორციელება, არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების შეუფერხებელი ფუნქციონირება

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა
	04 02	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;	
პროგრამის მიზანი	სკოლამდელი დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა.	
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობის მიზნით დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, არსებულის რეაბილიტაცია, კაპიტალური შეკეთება. დაფინანსდება მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში საქვებების გარეთ გამოტანა;	
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია საბავშვო ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურა; სკოლამდელი დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა.	

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა
	04 03	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის მიზანი	სკოლამდელი ასაკის ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფა.	
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, რაც გულისხმობს ბავშვების წაყვანას ყოველდღიურად ისეთი სოფლებიდან, სადაც არ არის საბავშვო ბაღი, ახლოს მდებარე საბავშვო ბაღში და მათ უკან, სახლში დაბრუნებას.	
მოსალოდნელი შედეგი	ტრანსპორტით უზრუნველყოფილი სკოლამდელი ასაკის ბავშვები	

პროგრამის დასახელება	კოდი	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა
	04 04	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია; მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური	
პროგრამის მიზანი	საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა და მაღალი აკადემიური მოსწრების	

	სტიმულირება;
პროგრამის აღწერა	განათლება მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროა. შესაბამისად, მცხეთის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია უწყვეტი სწავლის სისტემის განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა. იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღვსოს სკოლის მოსწავლეების სწავლის ხარისხი, მნიშვნელოვანია მათი მოტივირება, ვინაიდან მოტივაცია არის სტიმული, ქმედება, წახალისება, ძალა, რომელიც იწვევს მოსწავლის სურვილს, იმოქმედოს, ისწავლოს, მიაღწიოს უფრო მაღალ შედეგს. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილების ფარგლებში, საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის წარჩინებული მოსწავლეებს წახალისებს ფულადი ჯილდოთი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეების უზრუნველყოფა ტრანსპორტით დეღეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით.
მოსალოდნელი შედეგი	საჯარო სკოლების მოსწავლეების მაღალი აკადემიური მოსწრება; ტრანსპორტით უზრუნველყოფილი საჯარო სკოლის მოსწავლეები;

მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6 488,7 ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	6,488.7
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	4,034.3
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2,329.0
05 01 01 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	446.0
05 01 01 02	კანოესა და ნიჰოსნობის განვითარების ხელშეწყობა	397.0
05 01 01 03	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	675.0
05 01 01 04	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა	378.0
05 01 01 05	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	333.0
05 01 01 06	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	100.0
05 01 02	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1,705.3



05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,454.4
05 02 01	კულტურის დაწესებულებების ხელშეწყობა	2,072.0
05 02 01 01	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა	2,030.0
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	42.0
05 02 03	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1.4
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	20.0
05 02 05	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	361.0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სფეროს განვითარება
	05 01	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“;	
	ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია“;	
	ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა“;	
	ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა“;	
	ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“;	
	ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი „ყაზბეგი“	
	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;	
პროგრამის მიზანი	მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.	
პროგრამის აღწერა	ფიზიკური აქტივობა აუცილებელია ადამიანისათვის, იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე, აძლიერებს იმუნიტეტს და ავითარებს ტვინის უჯრედებს, ხელს უწყობს სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირებას, სპორტს გააჩნია როგორც აღმზრდელობითი, ისე გამაჯანსაღებელი ფუნქცია. სპორტით დაკავება საუკეთესო საშუალებაა ჭარბი წონის, სიგარეტზე დამოკიდებულების თუ სხვა მანკიერი თვისების თავიდან ასარიდებლად.	
	ჯანდაცვის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, მოსახლეობაში პროგრესულად არის გაზრდილი არაგადამდებ დაავადებათა მაჩვენებლების სიხშირე, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში (ტანადობის დარღვევა, სკოლიოზი, კიფოზი, ჭარბწონიანობა, გულსისხლძარღვთა, სიმსივნური და სხვა არაგადამდებ დაავადებები). დაბალია მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და მასობრივ სპორტში ჩართულობის მაჩვენებლები, სიტუაციას აუარესებს ახალგაზრდებში სხვადასხვა არაჯანსაღი გასართობი მზარდი პოპულარობა (კომპიუტერული თამაშები, ტოტალიზატორი და სხვა). აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია.	
	მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას. პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად განხორციელდება ფეხბურთის, კანოესა და ნიჩბოსნობის, ჭიდაობის, სპორტის სხვადასხვა სახეობის, საცერაო სპორტის, რაგბის განვითარების ხელშეწყობა, სხვადასხვა სახეობებში საზოგადოების ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, სპორტული დაწესებულებების ბაზების თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა.	
	უზრუნველყოფილია ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გაუმჯობესებულია სპორტსმენების სპორტული მიღწევები;	



მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული სპორტული ინფრასტრუქტურა;
--------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა
	05 01 01 01	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“	
ქვეპროგრამის მიზანი	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ ბაზაზე მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარება. სკოლაში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 17 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი), სადაც ჩარიცხულია 335 ფეხბურთელი. საფეხბურთო ვარჯიშები მიმდინარეობს 9 სოფელში და ქ. მცხეთაში. 3 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობს იღებს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირებში. დანარჩენი 14 ჯგუფი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ პირველობაზე 3 ასაკობრივ კატეგორიაში	
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ფეხბურთში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა, გაუმჯობესებულია სპორტსმენების სპორტული მიღწევები	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა
	05 01 01 02	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია"	
ქვეპროგრამის მიზანი	წლის ნებისმიერ პერიოდში აკადემიის მზადყოფნის უზრუნველყოფა დაგეგმილი ჩემპიონატებისთვის; ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, მათი მეთოდური აღზრდა-დაოსტატება.	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნიჩბოსნობის სხვადასხვა სახეობის (აკადემიური, კანოე, ბაიდარა) განვითარება. აკადემიაში ნიჩბოსნობას ეუფლება 98 სპორტსმენი (12 ჯგუფი). ქვეპროგრამის ფარგლებში ეწყობა ტურნირები, მათ შორის „მცხეთობა-სვეტიცხოვლობის”დღესასწაულთან დაკავშირებული ტრადიციული ტურნირი. აკადემიის სპორტსმენები მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებებში, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ქვეყნის გარეთ.	
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ნიჩბოსნობის სხვადასხვა სახეობაში ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართულობა; გაუმჯობესებულია სპორტსმენების სპორტული მიღწევები; წარმატებული გამოსვლა ეროვნულ ჩემპიონატებში და საერთაშორისო შეჯიბრებებში	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა
	05 01 01 03	



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა“
ქვეპროგრამის მიზანი	ძიუდოს, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სასწავლო-საწვრთნელი საქმიანობა ორ ეტაპად: დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო. სკოლაში მოქმედებს სამი ასაკობრივი ჯგუფი: 6-დან 18 წლამდე (ჭაბუკები), 18-დან 20 წლამდე (ახალგაზრდები) და 20-დან 23 წლის ჩათვლით (კადეტები), ირიცხება 514 მოსწავლე. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებებში.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა
	05 01 01 04	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა"	
ქვეპროგრამის მიზანი	სპორტის სხვადასხვა სახეობების - ჭადრაკის, კარატეს, ტაეკვანდოს, ველოსპორტის, კალათბურთის, ფრენბურთის, კრივის - პოპულარიზაცია; მასობრივი სპორტის სახეობების განვითარება.	
ქვეპროგრამის აღწერა	სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 17 სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფი (კარატეს - 5, ველოსპორტის - 4, კრივის - 2, კალათბურთის - 2, ფრენბურთის - 1, ტაეკვანდოს - 1, შერეული ორთაბრძოლების - 1, ჭადრაკის - 1) კვალიფიციური მწვრთნელ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით, სადაც მეცადინეობს 321 მოსწავლე (252 ვაჟი, 69 გოგონა).	
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მოსწავლეთა აქტიური ჩართვა ფიზკულტურასა და სპორტში; გაუმჯობესებულია სპორტსმენების სპორტული მიღწევები;	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა
	05 01 01 05	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“	
ქვეპროგრამის მიზანი	კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული სპორტული სივრცის მაქსიმალურად ათვისება და ამ მიზნით სხვადასხვა სახეობის სივრცეების მოწყობა, რათა მთლიანობაში კომპლექსი გამოყენებულ იქნეს, როგორც ცურვის შესასწავლად, ისე სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი თვალსაზრისით.	
ქვეპროგრამის აღწერა	კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული სპორტული სივრცის მაქსიმალურად ათვისება და ამ მიზნით სხვადასხვა სახეობის სივრცეების მოწყობა, ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, საცურაო აუზების შესაბამისი ექსპლუატაცია, რათა საცურაო აუზები გამოყენებულ იქნეს, როგორც ცურვის შესასწავლად, ისე სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი თვალსაზრისით.	



მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რაგბის განვითარების ხელშეწყობა
	05 01 01 06	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი ყაზბეგი“	
ქვეპროგრამის მიზანი	რაგბის კლუბის ჩამოყალიბება და განვითარება; სარაგბო სპორტული ღონისძიებების მოწყობა და მასში მონაწილეობა;	
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 4 სარაგბო წრე (სოფ. საგურამოში - 2, სოფ. წეროვანში - 2), სადაც 5 სერტიფიცირებული მწვრთნელის მეთვალყურეობით სხვადასხვა ასაკის 100-ზე მეტი ბავშვი ვარჯიშობს. მათთვის გამოყოფილია სავარჯიშო მოედნები, შეძენილია სავარჯიშო და სათამაშო ინვენტარი;	
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მოზარდთა ჩართულობა რაგბში	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა
	05 01 02	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია , მასობრივი სპორტის განვითარების და ახალგაზრდობის სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდა, საზოგადოების ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა.	
ქვეპროგრამის აღწერა	სპორტის სხვადასხვა სახეობებში სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, სპორტული დაწესებულებების ბაზების თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა. დაფინანსდება სოფ.მუხრანში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა, ქ. მცხეთაში, თეატრონის მიმდებარედ საკალათბურთო ღია მოედნის მოწყობა, სპორტული მოედნების რეაბილიტაცია; სოფ. გალავანში, არჩილ ჩოხელის სახელობის საჭიდაო სარბაზის მიშენება-რეაბილიტაცია; სოფ. ნავდარაანთკარში კრივის დარბაზის მიშენება-რეაბილიტაცია; ქალაქ მცხეთაში, სპორტული მოედნის (მარანი ჰოლის მიმდებარედ) რეაბილიტაცია; სოფ. ქსანში კალათბურთის მოედნის მოწყობა; სოფ. მუხრანის სპორტული დარბაზის ბუნებრივი აირის ქსელზე დაერთება;	
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. სპორტის პოპულარიზაცია.	

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება
	05 02	
	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;	



პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“; სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“; ა(ა)იპ „მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი“;
პროგრამის მიზანი	სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია; ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში რეგულარულად იმართება კულტურული ღონისძიებები, რაც მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას და ცნობადობის გაზრდას უწყობს ხელს. პროგრამის მეშვეობით განხორციელდება კულტურის პოპულარიზაცია და გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა, დაცული იქნება თვითგამოხატვის მრავალფეროვნება, ადგილობრივ ხელოვანებს მიეცემათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება, უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების ტრადიციული ღირებულებების დაცვა და სხვადასხვა კულტურის შეუზღუდავი თვითგამოხატვის და კულტურათა შორის დიალოგის გაღრმავება. კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნების და ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით 2025-2028 წლებში განხორციელდება ა(ა)იპ „კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“-ს, ა(ა)იპ "მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი"-ს, სსიპ „ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმი“-ს ფუნქციონირების ხელშეწყობა; კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა; რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა;
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება, ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებული ინფორმაციის შესწავლა და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა
	05 02 01 01	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“	
ქვეპროგრამის მიზანი	კულტურული მრავალფეროვნების წახალისება, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ემსახურება კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს და მათ დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებების ხელშეწყობა-განვითარებას, რომელიც მოიცავს საფინანსო-საორგანიზაციო დაგეგმარებით საკუთარი შემოსავლების ზრდას. აღნიშნული მოხმარდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, თანამედროვე სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბებას. ფინანსური და სასწავლო პროგრამული რესურსი თანაბრად განაწილდება ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი"-ს ყველა სტრუქტურულ ერთეულზე. განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე გაიზრდება მოსწავლე-ახალგაზრდების კონტინგენტი, კულტურათშორისი დიალოგი მუნიციპალიტეტებს შორის, განმტკიცდება საერთაშორისო კავშირები (ფესტივალი, კონკურსი, კონცერტი, გაცვლითი პროგრამები, ფლემ მობები და სხვა) - რაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით არამარტო კულტურისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობაა, არამედ ტურიზმის, ეკონომიკის და სოციალური მდგომარეობის. ქვეპროგრამა ხელს უწყობს კულტურული ცენტრებში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის განხორციელებას და ქალების/გოგონებისა და კაცების/ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.	
მოსალოდნელი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირება;	
	მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში.	



შედეგი	წახალისებული კულტურული მრავალფეროვნება უზრუნველყოფილია მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა;
--------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუზეუმების ხელშეწყობა
	05 02 01 04	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“	
ქვეპროგრამის მიზანი	სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“-ს ფუნქციონირების ხელშეწყობა	
ქვეპროგრამის აღწერა	სახლ-მუზეუმის კომპლექსი მოიცავს ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის საცხოვრებელ სახლს დამხმარე ნაგებობებით და ჭავჭავაძისეულ მამულს ბაღ-ვენახით. მუზეუმის სტაციონარულ ექსპოზიციაში წარმოდგენილია მწერლის მემორიალური ნივთები, მე-19 საუკუნის ქართული კულტურის წარმომადგენელთა ფოტოპორტრეტები და ეპოქის ყოფის ამსახველი ფოტომასალები, მწერლის ხელნაწერები, მისივე გამოცემული პერიოდიკის ნიმუშები. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“-ს კომუნალური ხარჯების დაფინანსება	
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“-ს გამართული ფუნქციონირება.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა
	05 02 03	
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;	
ქვეპროგრამის მიზანი	კულტურის პოპულარიზაცია , შემოქმედებითი პროცესების ხელშეწყობა	
ქვეპროგრამის აღწერა	განხორციელდება კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა.	
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია შემოქმედებითი პროცესები	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა
	05 02 04	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა.	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა.	



მოსალოდნელი შედეგი	კეთილმოწყობილია ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიები;
--------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა
	05 02 05	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი"	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია; ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.	
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია. ამ უფლებამოსილების შესრულების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ქ. მცხეთის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მუშაობაში ჩართულობა; მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების, ასევე, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღრიცხვა და მათი მოვლა-პატრონობისა და დაცვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა - განხორციელება; ტურიზმისა და საკურორტო სფეროში მუნიციპალური პრიორიტეტებისა და სტრატეგიების შემუშავება. ზედაპირული არქეოლოგიური კვლევით არტეფაქტების გამოვლენა-შენარჩუნება; ტექნიკური და ინსტიტუციური ღონისძიებებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ვიზიტორთათვის მეტი სარგებლიანობის და ცენტრის შესაბამისი საორგანიზაციო ხარჯების უზრუნველყოფა.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია. ამ უფლებამოსილების შესრულების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ქ. მცხეთის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მუშაობაში ჩართულობა; მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების, ასევე, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღრიცხვა და მათი მოვლა-პატრონობისა და დაცვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა - განხორციელება; ტურიზმისა და საკურორტო სფეროში მუნიციპალური პრიორიტეტებისა და სტრატეგიების შემუშავება. ზედაპირული არქეოლოგიური კვლევით არტეფაქტების გამოვლენა-შენარჩუნება; ტექნიკური და ინსტიტუციური ღონისძიებებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ვიზიტორთათვის მეტი სარგებლიანობის და ცენტრის შესაბამისი საორგანიზაციო ხარჯების უზრუნველყოფა.	

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის 3 833,9 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,833.9
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,367.4
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	417.4



06 01 02	მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციების ხარჯების დაფინანსება	950.0
06 02	სოციალური დაცვა	2,466.5
06 02 01	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2,058.7
06 02 02	ერთჯერადი სოციალური დახმარება	100.0
06 02 03	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	4.0
06 02 04	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება	60.0
06 02 05	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა	94.1
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	149.6

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება
	06 01 01	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"	
ქვეპროგრამის მიზანი	სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და ეპიდემიური სიტუაციის კონტროლი	
ქვეპროგრამის აღწერა	გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი;	
	ინფექციურ დაავადებათა სისტემაში შეყვანა (72 დაავადება); სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვება; ადრეულ და სკოლამდელ აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა და ზედამხედველობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დაწესებულებებში თამბაქოს კონტროლი; C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის მხარდაჭერა და სკრინინგი; დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამის განხორციელება და ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანი ფაუნის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარება;	
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიდსიტუაციის მართვა და ინფექციური დაავადებების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა, C ჰეპატიტზე დადასტურებული შემთხვევების მკურნალობაში ჩართვა, გადამდები ფაუნის შემცირება დამუშავებული ტერიტორიების საფუძველზე, თამბაქოს კონტროლის კანონის სისრულეში მოყვანა, სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება;	

პროგრამის	კოდი
-----------	------



დასახელება	მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება	
	06 01 02	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	ხელმისაწვდომი ჯანდაცვა	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების (მ.შ. იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთა რეგისტრაციის მისამართიც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით არის მცხეთის მუნიციპალიტეტი და არ ფინანსდება სხვა მუნიციპალიტეტის მიერ) სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების იმ წილის დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის და კერძო სადაზღვევო პროგრამებით. ა) დაფინანსების ზედა ზღვარი შეადგენს 2000 (ორი ათასი) ლარს იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს დარჩენილი აქვს 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე, ხოლო 5000 (ხუთი ათასი) და მეტის შემთხვევაში - 3000 (სამი ათასი) ლარს, გარდა იმ საგამონაკლისო ჯგუფებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამით. ბ) 501 ლარამდე გადაწყვეტილებას იღებს კომისია; გ) 501 ლარიდან 3000 ლარამდე დაფინანსებაზე თანხმობის მისაღებად, კომისიის და/ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობის გათვალისწინებით, კომისია მიმართავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს. დ) 151 ლარამდე ღირებულების სამედიცინო მომსახურება არ ფინანსდება, (გარდა პრიორიტეტული ჯგუფებისა); სამედიცინო მომსახურების 100%-მდე (3000 ლარამდე) დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია. წლის განმავლობაში სამედიცინო მომსახურებისთვის ბენეფიციარზე გაცემული თანხის საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 4000 (ოთხი ათასი) ლარს. ● აუტისტური სპექტრის და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე არასრულწლოვანი პირების დახმარება კონკრეტული საჭიროების შესახებ წარმოდგენილი კალკულაციის მიხედვით (კონკრეტული ფსიქოთერაპია, ქცევითი თერაპია, მეტყველების თერაპია); პროგრამით მოსარგებლე პირზე დახმარება გაიცემა წელიწადში არაუმეტეს 2 000 (ორი ათასი) ლარისა; ● ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ბავშვების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება - დაფინანსებას მიიღებს 18 წლამდე ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ბავშვი (საჭიროების შემთხვევაში ოჯახთან ერთად) შესაბამისი დაწესებულებიდან წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის ან/და ანგარიშგაქტურის საფუძველზე.	
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის კრიტერიუმებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული მოქალაქეები უზრუნველყოფილნი არიან სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებით	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა
	06 02 01	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის უზრუნველყოფა ფინანსური დახმარებითა და სოციალური სერვისებით;	
	ქვეპროგრამის ფარგლებში, მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის შესაბამისად, გათვალისწინებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების (მ.შ. იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთა რეგისტრაციის	



მისამართიგ დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით არის მცხეთის მუნიციპალიტეტი და არ ფინანსდება სხვა მუნიციპალიტეტის მიერ) დახმარება, კერძოდ:

- **ქანგზადის** აპარატიტ მოსარგებლე პირების დახმარება - პროგრამით მოსარგებლე პირს საკრებულოს თანხმობით დროებით სარგებლობაში გადაეცემა ქანგზადის აპარატი კანონით დადგენილი წესით.
- **ცელიაკიით** დაავადებული პირების ფინანსური დახმარება - დახმარება გაეწევათ მოქალაქეებს, რომელთაც შესაბამისი დოკუმენტაციით დადგენილი აქვთ ცელიაკიის დაავადება, დახმარება გაიცემა კვარტალში ერთხელ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;
- **მესამე** და მეტ შვილზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება - პროგრამით მოსარგებლე პირი არის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახი, რომელსაც შეეძინა მესამე და მეტი შვილი. დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის და კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე პროგრამით მოსარგებლე პირს ერთჯერადი ფინანსური დახმარება გადაეცემა შემდეგი ოდენობით:
 - ა) მესამე შვილის შეძენის გამო - 300 (სამასი) ლარის ოდენობით;
 - ბ) მეოთხე შვილის შეძენის გამო - 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით;
 - გ) მეხუთე და მეტი შვილის შეძენის გამო - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;
 - დ) ტყუპების (მესამე-მეოთხე და მეტი) შეძენის შემთხვევაში - 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.
- **დღის ცენტრით** მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი პირების ფინანსური დახმარება, რომელიც გაიცემა კონკრეტული საჭიროების შესახებ წარმოდგენილი კალკულაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და სპეციალიზებულ დაწესებულებას (ე.წ. დღის ცენტრი) შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ასევე, დღის ცენტრით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი პირების **საკურორტო დახმარება**;
- **ხანძრის** შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება - დახმარება გაეწევათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრით და ხანძრით გამოწვეული შედეგებით დაზარალებულ ოჯახებს ერთჯერადად 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარამდე, ხოლო საცხოვრებელი სახლის დანგრევის ან მთლიანად განადგურების შემთხვევაში მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისიის წარდგინებით, საკრებულოს თანხმობის საფუძველზე შესაძლებელია დახმარების სახით გაიცეს არაუმეტეს 7500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარისა.
